# სამშობლო

წ. I 1915 წ. პარასკევი 6 მარტი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 28 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 28


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.

ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული აგზავნოთ შემდეგის ადრესით. ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“ თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებებს და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ სურათები

მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი. მოსკოვის ფირმის ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

ამხ-ბა „ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“-ს

სამანიფაქტურო მაღაზიაში

მიღებულია და იყიდება დიდძალი ახარჩევი ახალ-მოდის საქონელი,

აბრეშუმეული,
შალეული,
ბამბეული
და ბამბეულობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კასტიუმებისათვის:

„ხაშერდი—შიფონი“ „კრეპ—აბრეტინი“ და „კოტლე—ნოველი“ მანტოსათვის:

„შაი—რენე“ და „შაი—შიკ.“

აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროხოროვის ტრიოხგორნი მანუფაქტურის ნაწარმოები.

ფასები შეუდარებლათ თ.



დაკლებულ ფასებში. დაკლებულ ფასებში.

ქალაქის თეატრი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ შაბათს, 7 მარტს,

ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მეორეჯერ ორიგინალური პიესა დავით კლდიაშვილისა.

1. უბედურებ

ტრაგედია ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან, 1 სურათად.

2. ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული ქრისტინე ოთხ მოქმედ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. ადგილების ფასი ჩვეულებრივი



ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.



ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

ძმათა პასხალიდის

აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში; ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში ხელსაყრელ ფასად. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.



ელექტრო-თეატრი რადიუმი.

დღეიდან, 5 მარტიდან ნაჩვენები იქნება ორი შესანიშნავი სურათი

I.

საბედისწერო ქალი

ვერა გოლიძი. მძიმე დრამა 3 მოქმ. თანამედროვე ცხოვრებიდან. გამოჩენილი მსახიობის ქალის ჩერნოვას და მსახიობის მიჩურინის მონაწილეობით.

II.

კოპწია ქალი

მხიარული კომედია—ფარსი 3 ნაწ.

1. ცალკე კუპეში;
2. ხიფათიანი ღამე
3. ბედნიერი ბოლო.

III.

პათე ჟურნალი



უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

პ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

პ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ თ.



დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ

ნ. ს. ჯორჯიკიას შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права“

Проф. Л. І. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.



კბილის მენალარიშრილი და ტრუფაექიმები. ნოვა, დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი გაბრიელ იოს. ვოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.


## რუსული პრესა.

„ბირჟ. ვედომ.“ ფურცლებზე იერ. იასინსკი ასე გადმოგვცემს თავის საუბარს ქართველებსა და აჭარლებზე ერთ გამოცდილ მეომარ ოფიცერთან:

...- მართალი მოგახსენოთ; აჭარლები შესაბრალისნი არიანო—სთქვა აფიცერმა. —ოსმალებმა მოტყუებით ჩაითრიეს აჭარლები. აჭარის სოფლებში მოდიოდნენ ოსმალელი პროვოკატორები და ხალხს ატყუებდნენ,—ვითომ თფილისი უკვე აიღეს და ბათუმსაც ამ დღეებში აიღებენ. ოსმალები აჭარლებს არაფერს არ სთხოვდნენ, მხოლოდ წინადადება მისცეს, და უცადონ ოსმალოს შემოსვლას, ან წავიდენ რუსეთში, მხოლოდ ხელცარიელნი. რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში დიდი როლი ითამაშა აჭარლებში ოსმალოთა სარწმუნოებამ. მაშინ, როდესაც ჩვენ აჭარა —ოსმალოთ მიგვაჩნდა და ხელს უშლიდით მეზობელ, უფრო კულტურულ, ქრისტიან სარწმუნოების მათ თანამემამულე ხალხთან,—ქართველებთან შეერთებას,—ოსმალები ხელს უწყობდენ ამ განმარტოებას, უპატრონობას და აჭარლები გადაჰყავდათ თავისკენ, ისინი გზავნიდენ აჭარაში თავიანთ მოლებს, გაზეთებს, წიგნაკებს და ამ საშუალებით იმხრობდენ ამ გზა-აბნეულ, ბედის ანაბრად დარჩენილ ხალხს. საკვირველია, ამ დაუდევრობისა და უყურადღებობის შემდეგ კიდევ იმედი გვქონდა აჭარლების ერთგულებისა. ეშმაკმა წაიღოს, ლამაზი ხალხი კია!

— ქართველები ძალიან ნაწყენი არიან აჭარლების ქცევით,—შენიშნა ერთმა აფიცერმა.—საკვირველიც არ არის. იმათა ჰგონიათ აჭარლების საქციელმა ქართველებსაც ჩირქი მოსცხო. ცდილობენ კიდეც თავიანთი მოძმენი, აჭარლები, როგორმე გამოიყვანონ ამ სირცხვილიდან. მართლაც ხომ არიან აჭარლები, რომელთაც ჩვენთვის არ უღალატნიათ.

— რაც შეეხება ქართველებს, შეუძლიანთ სრულიად გულდამშვიდებული იყვნენ.—დაუმატა მესამემ.—აჭარლებსა და მათ შორის დიდი უფსკრულია“.

. . . . . . . . . .

აქ გამოშვებულია ექვსი სტრიქონი. როგორცა სჩანს ბ. ცენზორს ქართველებზე კარგის თქმა, ანუ მათი ქება „არა საიმედოთ“ უცვნია.

...— ქართული დრუჟინა ნახეთ?

— ვნახე და მათ სალამოზედაც ვიყავი. გავიცანი მათი უფროსი თ-დ დ.

— ყოჩაღები არიან, განა?

— სულ რჩეული ბიჭებია.

— ისინი ცდილობენ დაუმტკიცონ რუსეთს ერთგულება და თავგანწირვა და მით, ცოტათი მაინც, შეამსუბუქონ თავიანთ ძმების, აჭარლების დანაშაული რუსეთის წინაშე.

— გარწმუნებთ, თითონ ქართველები ისე უყურებენ აჭარლებს, როგორც ოსმალოს.

— სრულიადაც არა! განა არ იცით რა ილაპარაკა საქართველოს ეგზარხოსმა, ს. ქედაში, როცა აჭარა შემოიარა? არა, ქართველებს კარგად ესმით, რომ ორ ძმათ მხოლოდ მაჭმადი აშორებს ერთმანეთისაგან... ამიტომაც ეგრე სტკივათ ის ჭრილობა, რომელიც აჭარლებმა ქართველებს დაასვეს“.

ძლივს ამ ომმა ცოტათი აუხილა რუსეთს ქართველებზე თვალები, მაგრამ... მაინც ეშინიათ ჩვენზე ლაპარაკისა.

## აჭარლებთან ბაასი.

გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეჩში“ ილია ბახტაძის შემდეგი წერილია მოთავსებული:

„ჩვენი მდგომარეობა საშინელია“, დაიწყო ჩემთან ბაასი აჭარელმა, რომელიც რიონის სადგურზე შემხვდა. „მე როგორც იქნა აჭარიდან გამოქცევა მოვასწარი; ღვთის ანაბარათ დავტოვე მოხუცი მამა და ოთხმოცი წლის დავრდომილი დედა. ჩემი სოფელი მდებარეობს მდინარე ჭოროხის პირად, სადაც ამ ჟამად ცხარე ბრძოლაა გაჩაღებული. მრავალ კომლიანი ჩვენი სოფელი ამ ჟამად უდაბნოს წარმოადგენს, სადაც უპატრონოდ დაყრილ მშიერ ძაღლთა ყმუილი დრო გამოშვებით მწარე საგონებელში აგდებს ადამიანს!“ ჩემ შეკითხვაზე „მართალია, რასაც ამბობენ აჭარლებზე თითქოს მათ რუსებს უღალატეს და ოსმალოს მხარეზე გადავიდენ მეთქი?“

„ერთი შეხედვით ეს ყველას მართალი ეგონება“,—განაგრძო მეორე მოხუცებულმა აჭარელმა, რომელსაც ინტელიგენტობა ეტყობოდა,— „მაგრამ, ვინც კარგათ ჩაუკვირდება საქმის ვითარებას, ის აჭარლების მხრით ვერავითარ ღალატს ვერ აღმოაჩენს. მართალია, ახლა ზოგიერთი აჭარელი თოფით ხელში ოსმალოს ჯარში იმყოფება და რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებს, მაგრამ ყოველივე ამას ისინი ჩადიან ძალდატანებით“.

— ვინ აიძულა ისინი რუსეთის წინააღმდეგ წასულიყვნენ? „ძალამ“, ამოხვნეშით მიპასუხა ჩემმა მობაასემ.

— რუსეთ-ოსმალეთის ომის გამოცხადებისას აჭარაში არ იყო რუსის ჯარი, თათრებმა ისარგებლეს ამ გარემოებით, შემოიჭრენ დაუცველ ტერიტორიაში და იარაღით ხელში, სიკვდილის დამუქრებით აიძულეს მშვიდობიანი მცხოვრებლები, რომლებმაც ვერ მოასწრეს იქიდან გამოქცევა აეღოთ იარაღი და გადასულიყვნენ მათ მხარეზე“. „ჩვენ მოღალატეებათ გვთვლიან“, ცრემლმორევით განაგრძო ჩემთან საუბარი ახალგაზდა აჭარელმა, —ერთის მხრით ჩვენ გვემუქრებიან ოსმალონი და მეორეს მხრით—კი,—რაიცა

# დღეს რა მოხდა.

**რუსეთ გერმანიის ასპარეზი.**

ტარნოვცთან, პოლნასთან და კრიჟივატულთან ხელჩართული ბრძოლით რუსის ჯარმა სიმაღლეები დაიჭირა.

მლავის სამხრეთით დონის ყაზახები გერმანელების რაზმს მოულოდნელად დაეცენ და გაფანტეს.

**კავკასიის ასპარეზი.**

ზღვის გზით რუსის ჯარმა სოფელი არხარი დაიკავა.

**დასავლეთის ასპარეზი.**

პერტის რაიონში, შამპანიაში, ფრანგებმა გერმანელების დანაღმული თხრილები აафეთქეს.

ლეპრეტის ტყეში გერმანელების მიერ აღებული თხრილები დაიბრუნეს.

**იტალია.**

მილანში ხალხს პოლიციასთან შეტაკება მოუხდა.

იტალიასა და გერმანიას შორის ფულის გაგზავნ გამოგზავნა შესწყდა.

**იაპონია და ჩინეთი.**

იაპონიაში მყოფ გერმანელ და ავსტრიელ ჯაშუშებს ებრძანათ საჩქაროთ გავიდენ იაპონიიდან.

მანჯურიაში იაპონიის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეს.

---

ყველაზე მეტად გულსატკენია,—რუსები უდანაშაულო ხალხს მოღალატეებათ გვთვლიან.

ჩვენი აუწერელი საშინელი მდგომარეობით სარგებლობენ ბიროტი პირები ჩვენი ქონებას ჩალის ფასად იძენენ ან სრულიად უფასოდ იტაცებენ და ჩვენ უბედურებაზე თავის ბედნიერებას აშენებენ".

# ომი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 1 მარტი. კრჟივატულთან და ტარნოვცთან მტერმა იერიშების მთელი რიგი მოახდინა, მაგრამ ყველა იერიში მოვიგერიეთ. ჩვენმა ჯარმა ჩრდილოეთისკენ წაიწია და გაფთრებული ხიშტიანი ბრძოლის შემდეგ ტარნოვცთან, პოლნასთან და კრჟივატულთან სიმაღლეები დაიჭირა, ხუთი ტყვიის მტყორცნელი იხელთა, წამოიყვანა ტყვეთ 14 აფიცერი 140 ჯარის კაცი. 28 თებერვალს, ღამით პერემიშლესთან სოფ. ვალევის რაიონში ჩვენმა ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა 8 აფიცერი და 400 ჯარის კაცი, ხელთ იგდო 12 ტყვიის მტყორცნელი, ორი სატელეგრაფო აპპარატი, ბევრი მავთული და სახელდახელო რელსები.

**პეტროგრადი.** 4 მარტი. იტყობინებიან, რომ მლავის სამხრეთით ღამით დონის ყაზახები მტერს მოულოდნელათ დაეცნენ, რომელიაც სოფელი ალექსანდროვო ეჭირა, გერმანელებს თავზარი დაეცა და ისე აირიენ, რომ ერთმანეთს ესროდენ. დიდი ზარალი მოუვიდათ. ყაზახები უვნებლათ დაბრუნდენ და თან 14 გერმანელი ტყვეთ წამოიყვანეს. ფრონტის რამდენიმე ნაწილში გერმანელები ძველ ტყვიას და აგრეთვე 1873 წლის ჯურის ცხენიან ზარბაზნებს ხმარობენ, რაც დამამტკიცებელია იმისა, რომ სწრაფმსროლ ზარბაზნებს იზოგვენ. ჩვენი ჯარისაგან შემჩნეულია მათი იარაღის სიმცირე და ჯარის დაძაბუნება.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 4 მარტი. ოფიციალური. 3 მარტს, ღამის 11 საათზე, მტერი შეეცადა ჩვენთვის წაერთმია ის თხრილები, რომელიც ნოტრამდი ლორეტთან დაკარგეს, მაგრამ ჩვენგან მოგერებულ იქნა და ბევრი ტყვეც წამოვიყვანეთ. შამპანში, პერტის რაიონში, დილით ჩვენ დანაღმული თხრილებრ ავაფეთქეთ, დავიჭირეთ ორმო, რომლის ირგვლივაც გაცხარებული ბრძოლა მოხდა. ორმო ჩვენ დაგვრჩა, ბოსეჟურის ჩრდილოეთით ჩვენ ცოტათი წინ წავიწიეთ. 3 მარტს, ღამით, ფურდეპარისა და ბოლანტას შუა და სოფელ ვოკუასთან, გერმანელებმა კონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ მოვიგერიეთ. მტერი ლეპრეტის ტყეში სამჯერ შეეცადა ჩვენთვის შემოეტია, მაგრამ დასაწყისშივე შეჩერებულ იქნენ.

**პარიზი.** 3 მარტი. ოფიციალური. დღის სამ საათზე, ბელგიის ჯარმა გაამაგრა დაჭერილი ადგილები. ინგლისელებმა სენ-ელუა დაიბრუნეს და აიძულეს მტერი სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე თხრილები დაეცალათ. შამპანში სუენის ჩრდილო-აღმოსავლეთით წინ წავიწიეთ. ლეპრეტის ტყეში გერმანელებს წავართვით დარჩენილი ნაწილი გუშინ დილით მათ მიერ აღებულ თხრილებისა. ამ თხრილების სივრცე ნათლათ გამოირკვა, რადგანაც საგერი იარაღი აფეთქებული ნაღმებით დაზიანებულია. რეიხსკერკოფის დიდ სანგარების წყალობით გუშინ, დილით მტერმა თხრილების ერთი ნაწილი წაგვართვა, მაგრამ ისევ უკან დავიბრუნეთ და ტყვეთაც ბევრი წამოვიყვანეთ.

**ნიშ.** 3 მარტი. „ნეიფრეი-პრესის" საშუალებით პასუხს იძლევა რა ანდრაშის მოსაზრებაზე, რომ რუმინიასა, ბულგარეთსა და გერმანიას საფრთხე მოელის თუ რუსეთი კონსტანტინოპოლს დაიჭერს, „სამოუპრავა" სწერს: იტალიისნ, რუმინიისა და საბერძნეთის საზღვაო ვაჭრობის გასავითარებლათ და აგრეთვე ინგლისისა და საფრანგეთის სავაჭრო ინტერესების სასარგებლოთ, კარგი იქნებოდა, რომ კონსტანტინოპოლი მშვიდობის მოყვარე რუსეთს ეკუთნოდეს, ვიდრე იმპერიალისტურ გერმანიის გავლენაში იმყოფებოდეს. რასაკვირველია, რუსეთი, როგორც ბალკანეთის სახელმწიფოების თავისუფლებისათვის მუდმივი მებრძოლი, ბალკანეთის ხალხის განვითარებაზე უფრო გულმოდგინეთ იზრუნებს, ვიდრე გერმანია და ავსტრიაო.

**რუსეთ-ოსმალეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 4 მარტი. ოფიციალური. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 2 მარტს, ჩვენმა ჯარმა ზღვის გზით სოფელი არხარი და აგრეთვე არხარის მდინარის ზევითა ადგილები დაიჭირა. არდანუჩისა და ოლთისის გზით ოსმალები ძალიან შევავიწროვეთ.

**ლონდონი.** 3 მარტი. ფრენჩი იტყობინება, რომ 2 მარტს, ნევშაპელის ახლოს ღამით, ხუთშაბათს, სოფელი ლინეტი მცირე ზარალით ავიღეთ. პარასკევს 25–28 თებერვლამდი ბრძოლის განმავლობაში გერმანელებმა 17000 კაცი დაკარგეს. რაც შეეხება სენტელუას, ფელდმარშალი ირწმუნება, რომ ფრანგების ცნობით იქ გაცხარებული ბრძოლააო.

## სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**ტოკიო.** 3 მარტი. გემი „ბანდო" ტრაულერის ნაღმს წააწყდა. კომანდა გადარჩა, გემი ჩაიძირა. იმპერატორი თავის საზამთრო საბრძანებელს სტოვებს და პარასკევს ტოკიოს ბრუნდება. როგორც ხმებია, ჩინეთი თანახმაა იაპონიის მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს. იაპონიის ლაშქართა საერთო ჯამი, რომელი ჩინეთში დაბანაკდება, 5 დივიზიამდი აღწევს. 16 გერმანელსა და ავსტრიელთ რომლებიც ჯაშუშობაში არიან შემჩნეულნი, ნაბრძანები აქვთ შვიდი დღის განმავლობაში იაპონიიდან გავიდენ. იაპონიაში სამხედრო ტყვეებს გარდა, 700 გერმანელი დ 80 ავსტრიელი დარჩება.

**მილანი.** 3 მარტი. გუშინ საღამოს ომში ჩარევის მომხრეთ პოლიციასთან შეტაკება მოუხდათ. კიევიდან ჩამოსულმა დეპუტატმა, რესპუბლიკის მომხრემ, მხურვალე სიტყვით მიმართა ხალხს, რომელშიც მოითხოვდა, რომ იტალიას ირიდენტი დაბრუნებოდა. პოლიციამ ხალხი დაშალა. შემდეგ გაზეთ „მუსალინის" გამომცემელს, რომელიც ომში ჩარევის სასარგებლოთ ლაპარაკობდა, ოვაცია გაუმართეს.

**ლონდონი.** 3 მარტი. ლორდთა პალატის გუშინდელ სხდომას ითვალისწინებს რა „ტაიმსი", სწერს: კიტჩენერმა დიდი შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც სამარ იარაღის მომმზადებელ ქარხნის მუშებისადმი იყო მიმართული, და, სხვათა შორის, სთქვა: მუშები თავის ძალღონეს იარაღის მომზადებას ალევენ და ამნაირათ სამხედრო მოქმედების განვითარებას ხელს უწყობენ, სამწუხაროთ კი უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მუშები ლოთობას მისდევენ და მუშაობას რამდენიმე დღით გასცდებიან ხოლმე, ლოთობის წინააღმდეგ საჭიროა, რომ მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღოსო.

**კოპენჰაგენი.** 3 მარტი. ბიუჯეტის შესახებ თათბირის დროს კონსერვატორებს არა სურთ აგრესიული პოლიტიკა, მხოლოთ აბსოლუტური ნეიტრალიტეტის პოლიტიკა და ეროვნული თავის დაცვა იმ სიმაღლეზე უნდა იყოს დაყენებული, რომ, ყოველ შემთხვევაში, დანიის ნეიტრალიტეტის დამრღვევს შესაფერი პასუხი გავსცეთ. სამხედრო მინისტრმა განმარტა: მთავრობა და პარლამენტი სრულებით თანახმანი არიან, რომ დღევანდელი პოლიტიკა ნეიტრალიტეტის დაცვისკენ იყოს მიდრეკილი; ამასთან თუ საჭირო იქნება დანიის უფლებების დაცვა, შესაფერი ზომები იყოს მიღებული; ერთისიტყვით მთავრობა, რაც შეიძლება, უნდა ეცადოს დანიას ომის ყველა საფრთხე თავიდან აიცდინოს და ყველა ერთან კეთილი განწყობილება იქონიოსო.

**პარიზი.** 3 მარტი. სამეცნიერო აკადემიამ თავის წევრთა სიიდან ავსტრიელი და გერმანელი ქვეშევრდომები გამორიცხა, რომელთაც გერმანელ პროფესორათა მოწოდებაზე ხელი მოაწერს.

**მუკდენი.** 3 მარტი. ჩინეთის ჯარს, რომელიც რკინის გზის ლიანდაგის ახლოს მდებარე კაზარმებში იმყოფება, ნაბრძანები აქვს კაზარმიდან ტყუილუბრალოთ არავინ გავიდეს, რათა იაპონელებთან შეტაკება არ მოუხდესთ.

**სოლუნი.** 3 მარტი. ბულგარეთმა რუს მოგზაურთა ნება დართო სერბიაზე გაიარონ, რომლებიც რუსეთში ბრუნდებიან.

**სტოკჰოლმი.** 3 მარტი. ინგლისიდან რუსეთში ბევრი კორესპონდენცია იგზავნება. კარუნოგენში ადგილობრივმა უხერხულმა პირობებმა საფოსტო განყოფილება აიძულა კორესპონდენციები გადაარჩიონ. გეტებორგში გუშინ 600 პაკეტი მიიღეს.

**რომი.** 3 მარტი. იტალიასა და ავსტრიის შორის ფულის გაგზავნ გამოგზავნის შეწყვეტისთანავე, იტალიასა და გერმანიის შორისაც ასეთი დამოკიდებულება შეწყდა.

**რომი.** 3 მარტი. პაპამ მეომარ სახელმწიფოებს თხოვნით მიმართა, ნება მისცენ სამშობლოში დაბრუნებისა ისეთ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც სამხედრო წოდებას არ ეკუთნიან. ინგლისიდან და გერმანიიდან პაპამ დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო.

**ოდესა,** 3 მარტი. 1915 წლ. სესხზე ხელის მოწერას წარმატება ეტყობა. ორი დღის განმავლობაში 2,000,000-მდი ავიდა ხელის მოწერა.

**თფილისი,** 3 მარტი. სავალდებულო დადგენილებით, აკრძალულია კავკასიაში მოსახლე ერთა შორის ეროვნული და სარწმუნოებრივი შურის ძიების გაღიზიანება.

**სტოკჰოლმი,** 4 მარტი. 15 მარტიდან ავსტრიაში, როგორც გერმანიაში, შემოღებულ უნდა იყოს წესი, რომ ფქვილი 200 გრამზე მეტი არ დაიხარჯოს, აგრეთვე უნდა აუკრძალოთ პურისმცხობელთ კვერების გამოცხობა. კვერცხისა და ერბოს სიმცირეა. კვერცხი ღირს 7 კაპ. და გირვანქა ერბო 1 მან.

**მუკდენი,** 4 მარტი. მანჯურიაში იაპონიის საქონელს ორგანიზაციური ბოიკოტი გამოუცხადეს. პეკინიდან მანჯურიის ადმინისტრაციას ებრძანა მდგომარეობის გამწვავების თავიდან ასაცდენათ, ბოიკოტის წინააღმდეგ ზომები მიიღოს. იაპონიასა და ჩინეთის შორის მოლაპარაკება სწარმოებს. აქ მოელიან ციცარის გენერალ გუბერნატორის მოსვლას სამხედრო თათბირით მონაწილეობის მისაღებათ.

**ლონდონი,** იმ შეკითხვაზე, მართალია თუ არა ის, რომ იაპონიას ჩინეთში დიდი ჯარი გადაჰყავს და რომ ასეთი საქციელი იმ მოთხოვნილებასთან არის დაკავშირებული, რომელიც იაპონიამ ჩინეთს წარუდგინაო, გრეიმ სთქვა: ამის შესახებ მეცნობა არა მაქვს და ამიტომ ვერც გიპასუხებთო.

**ბუქარესტი,** 4 მარტი. ოფიციალური გაზეთი „ვიკტორიული" პროტესტს აცხადებს იმ ხმების წინააღმდეგ, ვითომ მთავრობას ბენზინისა, პურისა და მუხუდოს გადატანა უცხოელ სახელმწიფოთა ზეგავლენით აეკრძალოს. მთავრობა ასეთი ზომების მიღების დროს რუმინიის ინტერესებით ხელმძღვანელობდაო.

**კოპენჰაგენი.** 4 მარტი. ყველა პარტიის გაზეთი სიამოვნებით ეგებება სახელმწიფოს დაცვის მინისტრისაგან წარმოთქმულ სიტყვას და იმედოვნებს, რომ

---

# ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო დამოკიდებულება უცხოეთთან.

(მიმოხილვა 1884-დან 1912 წ—დი).

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინება დღეს ყოველი შეგნებული ქართველისათვის საჭირბოროტო საკითხს შეადგენს.

თუ ამ რვა წლის წინად ეს საქმე მხოლოდ რამოდენიმე მოღვაწის საზრუნავს შეადგენდა, დღეს უკვე ერის მოწინავე ნაწილი ცდილობს თავისი მოვალეობა შეასრულოს.

მიუხედავათ ასეთი გამოღვიძებისა, საჭიროა აღვიაროთ, რომ ჩვენი ეროვნული ცხოვრება ამ ჟამად სასტიკსა და საშიშარ კრიზისს განიცდის.

თუ სხვა ქვეყნებში კაპიტალიზმი ბუნებრივის თანდათანობით გაიზარდა და ამ პროცესში ცხოვრების ახალი ფორმები წარმოშობა, ჩვენში ე'ევე კაპიტალიზმი (განსაკუთრებით სავაჭრო) თავიდანვე, ჩვენს ზურგზე, უცხო ელემენტებმა ხელში ჩაიგდეს, რომლის სასტიკ შედეგებსაც მხოლოდ ახლა ვგრძნობთ. ამას თან ემატება მეორე საფრთხე: უცხოეთის კაპიტალი თანდათან ეტანება რუსეთს და კერძოდ ჩვენ ქვეყანას, რისთვისაც ჩვენ სრულიად არა ვართ მომზადებული.

სწორედ ამისთვის საჭიროა შრომა და თავის დაცვა, რომ მომავალმა კაპიტალისტურმა ტალღამ არ წაგვლეკოს.

მომავალ ათი წლის განმავლობაში მთელი მცირე აზიის ოსმალეთსა და სპარსეთში ევროპიული კაპიტალისტების ასპარეზი საგრძნობლათ გაიზდება—ეს ტალღა ჩვენც გადმოგვივლის და ამისთვის კი საჭიროა მზადება.

უნდა შევისწავლოთ ყოველ-მხრივ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა და ამის და მიხედვით სამუშაო გეგმა გამოვიმუშაოთ. იმედი გვაქვს, ჩვენი მიმოხილვა მცირეოდენ დახმარებას მაინც გაუწევს მათ, ვისაც ჩვენი სამშობლოს აღორძინება აინტერესებს.

გვწამს, თუ გვინდა ეკონომიურ მონობას თავი დავაღწიოთ, საჭიროა ევროპის ბაზრებთან პირდაპირ დამოკიდებულება გვქონდეს. სწორედ ამ მოსაზრებით დავაარსეთ ამ ორი წლის წინად ფირმა ლონდონში, როგორც მთელი დედამიწის ზურგის სავაჭრო ცენტრში, და მთავარ მიზნად შემდეგი დავისახეთ: გამოგვეზიდა ჩვენი ქვეყნიდან პირდაპირ ევროპის ბაზარზე სამეურნეო და ყოველივე სხვა ნაწარმოები, ამიტომ კი საჭირო იყო ევროპის ბაზრების შესწავლა, რასაც იმ თავითვე შევუდექით და ჟურნალ „მოსავალში" და „სასოფლო გაზეთში" ვათავსებდით მოკლე მოხსენებებს.

აგრეთვე თავიდანვე დიდი ყურადღება მივაქციეთ იმ საქონელს, რომლის შემოზიდვაც ჩვენში ევროპიდან შეიძლება. ამ მხრით პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგით.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინება ორი გზით მიდის: საკოოპერაციოთი და კერძო ვაჭრულით. ბევრს შეცდომით გონია, რომ ეს ორი მიმდინარეობა ერთმანეთს უნდა შეებრძოლოს. რომ ეს არ მოხდეს და ეროვნული ძალა არ დაიხარჯოს უმიზნოთ, საჭიროა აღვიაროთ, რომ საკოოპერაციო მოძრაობას ჩვენში დიდი მომავალი აქვს და ვინც მას წინააღმდეგობას გაუწევს, ის ერის უმრავლესობის კეთილდღეობას ებრძვის. ვაჭართა კლასმა გამჭრიახობა უნდა გამოიჩინოს და იმ დარგების დაკარგვა, რაც კოოპერატიულ ნიადაგზე მოხდება, საქარხნო წარმოების შექმნით აინაზღაუროს. ამით საფუძველი ჩაეყრება ეროვნულ წარმოებას, და ძალების დაქსაქსვაც არ მოხდება.

**რის გაკეთება შეიძლება უცხოეთში?**

რომ ამ კითხვაზე საფუძვლიანი პასუხი გავსცეთ, საჭიროა ისტორიულათ მიმოვიხილოთ ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობა. ამიტომ უნდა შევეხოთ იმ საქონელს, რომელიც ჩვენი ქვეყნიდან უცხოეთში გააქვთ.

1. მარგანეცი (ანუ შავი ქვა) გაზიდულ იქნა:

| | | ბათუმზე: ფუთი. | ფოთზე: ფუთი. |
|---|---|---|---|
| 1884 | წელ. | 620.000 | — |
| 1885 | „ | 1.240.000 | — |
| 1886 | „ | 1.200.692 | 2.276.082 |
| 1887 | „ | 719.200 | 3.162.000 |
| 1888 | „ | 441.316 | 2.221.460 |
| 1889 | „ | 712.504 | 3.044.572 |
| 1890 | „ | 700.538 | 7.440.000 |
| 1891 | „ | 323 764 | 4.960.992 |
| 1892 | „ | 480.260 | 7.967.000 |
| 1893 | „ | 493.396 | 8.133.904 |
| 1894 | „ | 443.442 | 8.947.220 |
| 1895 | „ | 267.988 | 9.897.432 |
| 1896 | „ | 264.864 | 8 268.630 |
| 1897 | „ | 319.634 | 10.416.800 |
| 1898 | „ | 730.732 | 16.257.950 |
| 1899 | „ | 1,222.480 | 18.839.190 |
| 1900 | „ | 3.280.854 | 23.142.244 |
| 1901 | „ | 1.104.840 | 16.365.706 |
| 1902 | „ | 5.662.902 | 24.000.200 |
| 1903 | „ | 3.715.474 | 22.817.660 |
| 1904 | „ | 1.698.490 | 26.394.268 |
| 1905 | „ | 996.340 | 18.415.750 |
| 1906 | „ | 1.023.372 | 29.636.009 |
| 1907 | „ | 1.559.858 | 29.547.200 |
| 1908 | „ | 505.920 | 22.729.200 |
| 1909 | „ | 1.581.000 | 28.331.500 |
| 1910 | „ | 2.673.378 | 35.117.297 |
| 1911 | „ | 7.712.446 | 26.432.620 |
| 1912 | „ | 17.204.928 | 39.320.400 |

ზემოთ მოყვანილი ციფრები გვიჩვენებს, თუ რამდენი ფუთი შავი ქვა გაიზიდა უცხოეთში ფოთსა და ბათუმზე.

ამ ორივე ნავსადგურიდან გაზიდული შავი ქვის ღირებულება 1884—1912 წ., ე. ი. 29 წლის განმავლობაში დაახლოვებით უდრის: **120 მილ. მანეთს.**

რომ აქიდან ჩვენებს ძლიერ ცოტა შერჩათ, ეს ყველამ იცის, ვინც შავი ქვის წარმოებას დაკვირვებია და ჩვენებური „მწარმოებლების" გაჭირვებას იცნობს, რომელთაც ხშირად ბილეთის ფული არ აქვთ, რომ ქუთაისიდან ჭიათურაში დაბრუნდენ.

ჩვენ აქ არ შევეხებით შავი ქვის ვაჭრობის ისტორიას, რადგან ეს სპეციალურ გამოკვლევის საგანს შეადგენს, ვიტყვით მხოლოდ, რომ ასეთი დიდებული წარმოება, რომელიც მთელი დასავლეთ საქართველოს ქონებრივი მდგომარეობისათვის გადამწყვეტია, ევროპიული კაპიტალის მსხვერპლი გახდა. ამაში უმთავრესი ბრალი ჩვენების დაუდევრობასა და უვიცობას უდევს. ვის არ ახსოვს ის ხანა, როდესაც წვრილი მესაკუთრენი მადნიან ადგილებს ჩალის ფასად ყიდდენ და აღებულ ფულს „მანახორის" და ნუნუას წყენში ხარჯავდენ.

ცხადია, ასეთ წარმოებაში, სადაც დიდძალი კაპიტალია საჭირო, ევროპიული კაპიტალისტების ჩარევა აუცილებელი იყო, მაგრამ ეს პროცესი აგრე დაჩქარებით არ წავიდოდა, რომ ბერძნების სპეკულიაციას სახელი არ გაეტეხოს ჭიათურისათვის. თუ რამდენად საზარალო და უმზგავსი იყო ბერძნების როლი ამ საქმეში, ამას შემდეგიდან დავინახავთ:

1912 წ. ჩვენში მოხდა ანკეტა. შეკითხენ მრეწველთ, თუ ვინ რამდენი დაკარგა. 130 ქართველი მრეწველიდან მარტო 43 უპასუხა. აღმოჩნდა, 15 ბერძენ ექსპორტიორებს წაღებული აქვთ ამ 43 მრეწველიდან 131.735 მანეთი.

ამავე ექსპორტიორებს ბანკებიდან წაღებული აქვთ 520.000 მანეთი.

რომ ჩვენებს გამბედაობა ჰქონდესთ და ყველა გამოააშკარავებდეს, თუ რამდენი დაეკარგათ, კარგა დიდი თანხა შესდგება.

ასეთმა არანორმალურმა მდგომარეობამ ძლიერ ჩააფიქრა ევროპიელი მექარხნეები, რომელთაც მარგანეცი სჭირდებათ და უკვე 1907 წელს მათ დაიწყეს დიდძალი მადნიანი ადგილების საკუთრად შეძენა.

ყველაზე გასაოცარი კი ის არის, რომ თუმცა მათ ადგილები შეიძინეს, მაგრამ მის დამუშავებას აგრე რიგად არ ეჩქარებიან, რადგან აქამდი ჩვენებური მრეწველებიდან უფრო იაფად ყიდულობენ ქვას, ვიდრე თვითონ დამუშავებული უჯდებათ.

საჭიროა, რომ სული არ დაილუპოს საქმე, ჩვენი მრეწველები შეკავშირდენ და გადაარჩინონ რის გადარჩენაც კი შეიძლება. თუ ეს შეკავშირება მოხდა, მაშინ ევროპის კაპიტალის დახმარებაც ადვილია.

დიდი ძალის მოკრეფა არის საჭირო, რომ ეს საქმე გამობრუნდეს და კარგი შედეგი მხოლოდ მაშინ მოყვება, როდესაც ევროპის ბაზრები გვექნება შესწავლილი და ყოველივე მოსალოდნელ კრიზისს თავიდან ავიცდენთ.

**დავით ლამბაშიძე.**

(შემდეგი იქნება.)

ამიერიდან არავითარ შიშსა და ალშფოთებას ადგილი არ ექნება და აღიარებს ევროპის რწმენას, რომ დანიის ნეიტრალიტეტი უკანასკნელათ მჰიდროთ იქნება დაცულიო.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

მოკავშირეთა ესკადრას, რომელიც საროსსის ყურეში მოქმედებდა, შეუერთდა ინგლისის ორი ნაღმოსანი, რის შემდეგაც ესკადრამ დაიწყო ყილიდბარის ფორტებზე ყუმბარების დაშენა, სრუტე ნაღმებისაგან გაწმენდილია დარდანოსამდი.

მოკავშირეთა ესკადრის სწრაფი გამარჯვება, სხვათაშორის, უნდა აიხსნას იმით, რომ ოსმალებს ყუმბარები აკლიათ. რუმინიამ დააკავა 300 ვაგონი სამხედრო მასალით სავსე, რომელიც დანიშნული იყო ოსმალეთისათვის.

იტალიიდან იუწყებიან, რომ საბერძნეთის ომში ჩარევის ინიციატივა სამთა შეთანხმებისგან კი არ გამომდინარეობდა, არამედ ეს იყო შედეგი გერმანიის ინტრიგანური მოქმედებისა, რომელიც მოწადინებულია ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის უთანხმოება მოახდინოს. გერმანელები ძლიერ ცდილობენ, რომ საბერძნეთმა სტამბოლი მოთხოვოს, ირწმუნებიან კიდეც, რომ საბერძნეთის ხალხს სურს, რომ მეფე კონსტანტინე კონსტანტინეპოლში შევიდესო.

გერმანიის მთავრობა უკვე შეუდგა მუშაობას, რომ საზოგადოებრივი აზრი ნელნელა შეაჩვიოს ომის ცუდით დასრულებას. იმ დროს, როდესაც აკრძალულია პრესაში ბელგიის ანექსიის შესახებ ლაპარაკი, გერმანიის მთავრობის პოლიტიკის სულის ჩამდგმელი რორბახი თავის წერილში ამტკიცებს, რომ გერმანიას შეეძლო ეს ომი დაემთავრებია იმ პირობით, რომ დაცული ყოფილიყო status ante. თავისი მოსაზრების დასამტკიცებლათ რორბახი ეყრდნობა ფრიდრიხ დიდის მაგალითს, რომელიც შვიდ წლიან ომში გამარჯვებული დარჩა, თუმცა პრუსიის ტერიტორია ამით არ გადიდებულა. რორბახის აზრით—ომის მთავარი აზრი ისაა, რომ თვალსაჩინო გახდეს გერმანიის სიძლიერე და ეს უკვე მიღწეულიაო. შემდეგ რორბახი აცხადებს, რომ რუსეთი—ეს მემკვიდრეობითი მტერი არის გერმანისაო, და მასთან ხანგრძლივი ზავი წარმოუდგენელიაო. გერმანიის მისწრაფებაა დასთრგუნოს რუსეთი მომავალ ერთ ერთს ომის დროსო.

„ნოვ. ვრემ. პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ სპეციალისტების აზრით მოკავშირეთა ფლოტი მარმარილოს ზღვაში 18 დღის განმავლობაში შევაო.

ათინიდან იტყობინებიან. ინგლისის ადმირალმა განაცხადა, რომ მოკავშირეთა ფლოტი აღდგომამდის აიღებს დარდანელსო.

პარიზიდან იტყობინებიან, საბერძნეთის დესპანმა დაარწმუნა დელკასე, რომ გუნარიის კაბინეტი ვენიზელოსის პროგრამას გაჰყვებაო.

# დეპეში.

ქუთაისის გუბ. სახალხო სკოლების დირექტორს ვიშნევსკის ხელმწიფის მოადგილისგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა.

„გულითად ვმადლობ ქუთაისის გუბ. სახალხო სკოლების დირექციას, მასწავლებელთა და მოწაფეთ მოლოცვისა და კეთილის სურვილებისათვის.

გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

ეს დეპეშა პასუხია დირექტორ ვიშნევსკის მილოცვისა.

„ქუთაისის გუბერნიის და ბათუმის ოლქის პირველდაწყებით სასწავლებელთა დირექცია, მასწავლებელნი და მოწაფენი ულოცავენ თქვენს ბრწყინვალებას ათი წლის ბრწყინვალედ მართვა-გამგებლობას მხარისას და ჰესთხოვს უფალს, მოგანიჭოსთ ძალა და სიცოცხლე, განაგრძოთ თქვენი ჰუმანიური შრომა კავკასიაში საერთო განათლებისა და მოსწავლეთ-მასწავლებელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ნიადაგზე, რაიც ქვა-კუთხედია სახელმწიფოებრივის სიძლიერისა.

დირექტორი ვიშნევსკი.

# ახალი ამბავი.

ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი თავის ეპარქიაში უკვე დაბრუნდა და თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

✦ როგორც გავიგეთ, 10 მარტიდან ქუთაისში და ქუთაისის გუბერნიაში სხვადასხვა სანოვაგის შემოტანა მოხდება მხოლოდ ბ. გუბერნატორის გაწესრიგებით. მთელ ქუთაისის გუბერნიას კვირაში მიეცემა 105 ვაგონი. ამ ვაგონებიდან ბ. გუბერნატორის განკარგულებით ქ. ქუთაისს, ქუთაისის ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებს ეძლევა კვირაში 37 ვაგონი. აქედან, პურის ფქვილისათვის—$61^1/_2$, სიმინდისათვის—$3^1/_4$, შაქრისათვის—$1^1/_2$, მარილისათვის—3, ნავთისათვის—$2^1/_2$, საქონლის საკვებისათვის—$8^1/_2$ და ორი ვაგონიც სხვადასხვა საჭიროებისათვის.

საქონლის გამომწერლებმა ვაგონებისათვის ყოველთვის ქუთ. გუბერნატორს, უნდა მიმართონ.

✦ დ. ლანჩხუთში 1 მარტს ადგილობრივ სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს 4-მოქმედებიანი დრამა „უმუშევარნი“, წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა, ხალხიც საკმაოდ დაესწრო.

✦ ქუთაისის საშუალო სასწავლებლის მთავრობამ თავის სხდომაზე დაადგინა მოწაფეები გამოცდებისათვის მოსამზადებლათ 10 მარტიდან დაითხოვონ.

✦ ქალაქის გამგეობას დაუდგენია,—ხორცსა და პურს ფასი მოუმატონ. ეხლა პირველი ხარისხის პური ფასობს 16 კაპიკათ. თუმცა პირველი ხარისხის პური მესამე ხარისხისაგან არ განირჩევა მეორე და მესამე ხარისხის პური ხომ პირუტყვების საკვებათ თუ გამოდგება. საჭიროა ქალაქის გამგეობასთან არსებულ სამეურნეო კომისიამ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფასი ისე დაადგინოს.

✦ სოფ. ჯვარისაში. მაქ. ასათიანის მეთაურობით, უნდოდათ დაეარსებიათ წვრილი კრედიტის ამხანაგობა. საკმაო წევრები შეაგროვეს და სადაც ჯერ იყო შუამდგომლობაც აღძრეს, მაგრამ უარი მიიღეს, რადგანაც თურმე ერთ სოფელს ნება არ ეძლევა ასეთი დაწესებულების გახსნისა.

ამჟამათ მაცადინობენ ნაცვლად ჯვარისისა წვრილი კრედიტის ამხანაგობა დაარსონ მანდიკორიას საზოგადოებაში, რომელშიც შედის ათამდე სხვადასხვა სოფელი.

✦ როგორც ლანჩხუთიდან გვწერენ ამ დღეებში იქ გაუხსნიათ კოოპერატიული ფურნე. ფურნის საქმე კარგათ მიდის. საზოგადოებას ჯერ ხანად 480 წევრი ჰყავს.

✦ ქუთაისის სავაჭროების პატრონები სავალდებულო დადგენილების ნორმალურ წესებს წამ და უწუმ არღვევენ. ამ გარემოებას რაიონების მეთვალყურეები ანგარიშს არ უწევენ.

✦ ქუთაისის ბაზარზე ამ ჟამათ სიმინდის ფქვილი ფუთი 7 აბაზათ ფასობს.

✦ ხელოსანთა კომერციული ბანკის წევრთა წლიური კრება დანიშნულია კვირას, 8 მარტისათვის.

✦ ორშაბათს, ქალაქის საბჭოს კრებაზე გაირჩევა ოცამდის საყურადღებო საქმე.

✦ 4 მარტს, თფილისის ქუჩაზე ღამის 11 საათზე რამდენიმე ბოროტგამზრახველებმა დანით დასჭრა ივლიანე შანიძე. დაჭრილი ქალაქის საავადმყოფოში მოათავსეს.

✦ ბალახვანის ქუჩაზე მდ. რიონის პირათ იპოვეს ახლად დაბადებული ბავშვის გვამი, მამობრითი სქესისა.

✦ ჩილინგაროვის საკანდიტრო გვთხოვს გამოვაცხადოთ, ამ ერთი კვირის წინათ ხსენებულ საკანდიტროში სოფ. ხანცკის (ზუგდიდის მაზრა) მცხოვრებს აზ. იოსებ პავლეს ძე ჯაფარიძეს დარჩა საბაშფორთო წიგნი, მიცემული ზუგდიდის სამაზრო სამართველოსაგან მე-89 ნუმრით. ბაშფორთშია იარაღის ტარების მთავრობის ნებართვა სურათით. პატრონს ბაშფორთი შეუძლია მიიღოს ხსენებულ. საკანდიტროში გიმნაზიის ქუჩაზე.

✦ საოლქო სასამართლოს სესია საქმეების გასარჩევათ დ. საჩხერეში გაემგზავრა.

✦ 7 თებერვალს, საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში გაირჩევა გრიგოლ ტერტეროვის, ვარლამ მ[illegible] საქმე.

✦ როგორც ზედა საფიჩხიიდან გვწერენ მცხოვრებლები ძლიერ შევიწროებულნი არიან ქუჩების, სიბნელის გამო.

✦ ქ. შ. წერ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება შესდგება აპრილის პირველ რიცხვებში.

✦ კვირას, ქალთა საზოგადოების კრებაზე მოწვეულნი არიან როგორც წევრები ისე არა წევრებიც.

## ქართული გალობა ქუთაისის საკათედრო ტაძარში.

ყოველი ერი, რომელსაც ოდნავ მაინც შერჩენია თავისი ისტორიული კულტურა, მონდომებულია, თუ ახალს არაფერს არ შექმნის და არ შეიძენს, თავისი ეროვნული სიმდიდრე მაინც შეინარჩუნოს. თუ რომელიმე ერი ივიწყებს სამშობლო ენას და გადაგვარების გზას ადგია, ივიწყებს ეროვნულ მუსიკას, ეროვნულ გალობა-სიმღერებს, ხმებს და ყოველივე მშობლიურს, რაღა თქმა უნდა, ასეთი ერი სულს ღაფავს და კვდება. ამგვარ შემთხვევებში ჩვენ ქართველები, ცოტა არ იყოს, სხვა ერებისაგან გამონაკლისს შევადგენთ: დაგვებადება თუ არა ინიციატივა რომელიმე კულტურული საქმის განახლების შესახებ, პირველად ავხმაურდებით და დიდის ხალისით შევხვდებით, პატარა ხანს შემდეგ კი მოვუწყენთ, გულგრილობას ვიჩენთ, ვუტევთ და დაბადებისათანავე ჩავკლავთ. თუ ასე არ არის, მაშ გავიხედოთ, რა ხდება დღეს ჩვენს ქართულ ქალაქ ქუთაისში; საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულად არის, გალობა კი რუსულია. ამ ერთი წლის წინად მამა რაჟდენ ხუნდაძის ინიციატივითა და ლოტბარობით შესდგა მგალობელთა ქართული გუნდი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ ლოტბარს გარდა შემდეგნი პირნი: პლატონ ცქიტიშვილი, დიაკვნები—ბ. კუხიანიძე, ონ. ქიპაშვილი, ფილ. ცინცაძე, სამ. ანთაძე, ბიქ. შარაბიძე, ი. ლორთქიფანიძე, ბ. მინდელი დ. ბარათაშვილი და ე. ქარხალაშვილი, სულ—12 მგალობელი. საქმე ჩინებულად დაეწყო, ორჯერ თუ სამჯერ კიდევაც იგალობეს წირვის წესი იმერულ სადა კილოზე, რამაც მლოცველებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ყოველთვის წირვის დროს ტაძარი გაჭედილი იყო ხალხით; ორჯერ მეც დავესწარი ამ გუნდის გალობას და სიმართლე მოგახსენოთ, თუმცა გალობის არაფერი მესმის, მაგრამ დიდი სიამოვნება მივიღე და სმენა დამტკბარი გამოვედი ტაძრიდან წირვის შემდეგ. ერთმა ღრმა მოხუცმა სთქვა, რომ ყმაწვილობისას, როდესაც 15—16 წლის ვიყავი, თუ გამიგონია ამისთანა გალობა, თორემ შემდეგ აღარ მსმენიაო. ეს იყო და ეს; მართლაც ამის შემდეგ აღარც ქუთაისლებს გაგვიგონია საკათედრო ტაძარში ქართული გალობა და გუნდიც, რა მიზეზისა გამო არ ვიცით, დაიშალა; ეხლა ასეთი სასიამოვნო ხმების შემდეგ გვესმის წირვის დროს ისევ ძველებურად რამოდენიმე ჯერ „უფალო შეგვიწყალენ“ და შემდეგ კი რუსული გალობა. ყოვლად სამღვდელოს იმერეთის ეპისკოპოზის გიორგის სურვილია, რომ გალობა წირვის დროს ტაძარში ქართულად სრულდებოდეს, საზოგადოებაც ეროვნულ გალობას უფრო თანაუგრძნობს და განგებ მიდის ეკლესიაში მშობლიური ხმების მოსასმენად; მაშ რა მიზეზია, რომ ასეთი სიმპატიურ წრეს უდროოდ მოეღო ბოლო?! ჩემის აზრით, ეს უნდა მივაწეროთ სიზარმაცეს და საქმისადმი გულგრილობას გუნდის წევრების მხრით, თორემ ლოტბარი მამა რაჟდენ ხუნდაძე ყოველთვის მზად არის სიამოვნებით მიიღოს თავის თავზე ამ საქმის წინ გაძღოლა და მსურველთ ყველას უსასყიდლოთ შეასწავლის ეროვნულს გალობას. მგალობელთა გუნდის წევრნი ერთი მეორეს აბრალებენ დღეს ასეთი წრის დასამარებას; რომელი სტყუის და ვინ არის მართალი, არ ვიცით.

ლადო ბზვანელი.

## † ალექსანდრე (საშა) ანდრონიკოვი*).

სამწუხარო ამბავი მივიღეთ: —გერმანიის საზღვარზე მოკლულ იქნა პოდპოლკოვნიკი **ალექსანდრე (საშა) ანდრონიკოვი...** ალექსანდრე ქუთაისის მკვიდრი იყო, ის აქ დაიბადა, აღიზარდა, პირველდაწყებითი სწავლა მან ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო, აქედან ის სამხედრო სასწავლებელში შევიდა, რომელიც წარჩინებით დაასრულა. —ის დღიდან სასწავლებლის დამთავრებისა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მსახურებდა. ითვლებოდა სამაგალითო აფიცრად და უფროსების თვალში განსვენებულს მარად თვალსაჩინო ალაგი ეჭირა. ალექსანდრეს ერთ ღირსებათაგანს ისიც შეადგენა, რომ ის სამშობლოს განშორებული ზოგიერთებისავით არ ივიწყებდა სამშობლოს და თავისი ტურფა ქვეყნის სიყვარული ღრმად ქონდა გულში ჩაბეჭდილი.—ყველა ქართველი ჯარის კაცი, ვინც-კი რუსეთში ყოფილა და საშასთან უმსახურია სამსახურიდან დაბრუნებისას ლოცვა-კურთხევით იხსენიებდა:—„ალექსანდრე ანდრონიკოვთან ვმსახურებდით, ღმერთმა გვიცოცხლოს მისი თავი ქართველებს კარგათ გვეპყრობოდა, ის ჩვენთვის უფროსი-კი არა ნამდვილი მამა იყოვო.“ განსვენებულმა სამ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. პირველად რუსეთ-იაპონიის ომში, მეორეჯერ წელს ავსტრიის საზღვარზე იბრძოდა: აქ განსვენებულმა მცირე რაზმით მტრის დიდ ძალი ჯარი გაფანტა და მრავალი ავსტრიელი ტყვედ ჩაიგდო ხელში.—საშა ამ ბრძოლაში მხოლოდ დაიჭრა და სიმამაცისათვის მას გიორგის ჯვარი ებოძა. დაჭრილი საშა თავის სამშობლოს დაუბრუნდა. განსვენებული მალე განიკურნა ჭრილობისაგან; ის ამ ერთი თვე ნახევრის წინად ვნახე, მოვიდა ჩემთან ბინაზე და პირ მცინარე მითხრა—„მშვიდობით, ბრძოლაში მივდივარ; იაპონელების, ავსტრიელების ტყვიის გემო ვნახე—ეხლა მინდა ერთი გერმანელების ტყვიის გემოც ვნახოვო“. სამწუხარო ამბავი მოვიდა — გერმანელების ტყვია აღარ გამოდგა საშასათვის გემრიელი.

— მშვიდობით, ძმაო საშა, კარგი ადამიანი იყავი, როგორც ასეთის შენი ხსოვნა შენს ნაცნობ—მეგობრებში მარად წაუშლელი იქნება.

ნაცნობი.

*) ახლო მომავალში განსვენებულის სურათი მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის დამატებაში. რედ.

## საამხანაგო ფულის გაფლანგვა.

15 თებერვალს სოფელ ტყაჩირის საკრედიტო ბანკის მორიგი საერთო კრება მოხდა. ამ კრებაზე განხილულ იქნა 1914 წლის ბანკის შემოსავალ გასავალი. გამოირკვა, რომ ბანკს საერთოდ ძირითადი, ნასესხები და სათადარიგო თანხა ქონდა 12,730 მან. და 1 კ. რევიზიის დროს, რომელიც ბ. ა. ჯაფარიძემ მოახდინა, გამოირკვა, რომ ხუთ დეკემბრამდი ბანკის ოპერაციები ნორმალურად სწარმოებდა, ხოლო ამ დღიდან იწყება სულ სხვა გვარი „ოპერაციები“, რამაც 3,796 მ. და 59 კ. ზარალი მოუტანა ბანკს. ამ რიცხვიდან ბ. თავჯდომარე აღარ ასრულებდა თავის მოვალეობას, რადგან საომრათ იქნა გაგზავნილი და მთელი ბანკის საქმე ხელთ ჩაუვარდა ბანკის ხაზინადარს ბ. ვ. იაშვილს. ამ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში გაფლანგული აღმოჩნდა 547 მ. და 9 კ. და 3,222 მ. და 10 შ. ვექსილები დაკარგული.

საერთო კრებამ, რა თქმა უნდა, ბ. ვ. იაშვილს პასუხი მოთხოვა, რომ მას გაფლანგულ ფულის შესახებ განმარტება მიეცა, მაგრამ ნაცვლათ პასუხისა მან წერილობითი განცხადება შემოიტანა, რომლითაც აცხადებდა, რომ ის კრების წინაშე ფულის გაფლანგვის შესახებ ერთ კრინტსაც არ დასძრავს და [illegible] დაწვრილებით მხოლოდ გამომძიებელს მოახსენებს. რა სიმდაბ[illegible] ადამიანი, რომელსაც 450 წევრი ნდობას უცხადებს და [illegible] გეობაში ირჩევს, მაგრამ ნაცვლათ ნდობის გამართლებისა ის მშრომელ ხალხის შემაერთებელ ორგანიზაციას ძირს უთხრის და, როდესაც პასუხს თხოვენ, აცხადებს, რომ ის მოვალეთ არ სთვლის თავის თავს ამხანაგობის წინაშე რამე სთქვას!

ბ. ვ. იაშვილი არც ისე უვიცია, რომ არ იცოდეს რა დიადი ზარალი მოუტანა საზოგადოებას: მთელმა ამხანაგობამ კილამ ერთხმათ მოითხოვა ბანკის ლიკვიდაცია და, მართლაც, ამ ფრიად სიმპატიურ ორგანიზაციის სამუდამოდ დაკეტვა მოელოდა, რომ რამოდენიმე გულშემატკივარი არ გაჩენოდა. ამგვარი ორგანიზაციების დახურვას კი დიდი ზარალი მოაქვს საზოგადოთ კოოპერატიული მოძრაობისათვის ამნაირ მაგალითის შემდეგ მშრომელი ხალხი რაღაც შიშით და უნდობლობით შესცქერის ყოველივე კოოპერატიულ საზოგადოებას და არა თუ იმ სოფელში, სადაც ტყაჩირისებური მაგალითი მოხდა ძნელია კოოპერატიულ დუქნის ან სხვა გვარ ორგანიზაციის დაარსება, არამედ ახლო მახლო მდებარე სოფლებშიაც იმგვარივე შიშსა და უნდობლობას იწვევს.

ბ. ვ. იაშვილსა და მის რამდენიმე ამხანაგს, ძალიან კარგათ უნდა ცოდნოდათ, რომ მარტო ბანკის დაარსება და წევრების შეძენა კი არ კმაროდა, არამედ შეგნებულად მისი საქმეების წინ გაძღოლა იყო საჭირო.

ვინაიდან ბ. ვ. იაშვილმა უარი განაცხადა სიმართლით გაეშუქებია საქმის ვითარება და მოითხოვდა კანონით დასჯას, ამხანაგები იძულებული შეიქნა საქმე ბრალმდებლისათვის გადაეცა და მთელი ბანკის გამგეობა და საბჭო პასუხის გებაში მიეცა, რაც გამოიწვია თვით ბანკის წარმოების უნარმალობამ.

საზოგადო კრებამ დროებით ახალი გამგეობა აირჩია და დაავალა მას მხოლოდ გასესხებული ფულის შეგროვება და სახელმწიფო ბნკის დაკმაყოფილება. დღეიდან ბანკი ახალ ოპერაციებს მოახდენს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი გარემოება; ყველასათვის ნათელი შეიქნა, რომ წელს ბანკმა ზარალი ნახა. არც ერთი წამოყენებული კანდიტატი არ დათანხმდა უსასყიდლოთ ემუშავა, რომ ბანკს ცოტა თუ ბევრათ წელი გაემაგრებია. ამხანაგობა **იძულებული** შეიქნა თავჯდომარესთვის 20 მანეთი დაენიშნა და ორ წევრისთვის თითო თუმანი თვეში.

ლევან გეგუთელი.

# პატარა ფელეტონი.

## „კითხვების“ პასუხი.

მგოსან მ. ანაშვილს.

საქართველოს ეხვეწები,—„გიკარნახოს, გითხრას რამე,
ცხოვრების ცივ უდაბნოში რა ჰქნა“?

საქართველომ ერთხელ გშობა და მიზანიც გიკარნახა,—რისთვის იშვი ამ ქვეყანად:

— მისთვის იშვი და ამ ქვეყნად მისთვის მოხველ, რომ „ცხოვრების ცივი უდაბნო“ განათბო შენის ცეცხლით.

საქართველომ ხორცი შეგასხა, სული შთაგბერა, გონება გაგინათლა მისთვის, რომ მას ემსახურო, მას მტლად დაედო. შენი ფიქრი და მისწრაფება მხოლოდ მას უძღვნა...

დედა რომ შვილს ზრდის, განა მარტო სიყვარულისთვის.

არა!

დედის გულის სიღრმეში, სადღაც იქ, შორს ღვივის იმედი: ჩემი პირმშო წამოიზრდება, სიცოცხლეში გამახარებს, სიბერეში ტანჯვას შემიმსუბუქებს და სიკვდილის შემდეგ დამმარხავსო...

შენც ეგრე გმართებს!

ადამიანი რომ იბადება,—განა რისთვის? სამშობლოსათვის, ერისათვის!

ადამიანი, კაცი, ჯერ ეკუთვნის თავის სამშობლოს, ერს, მერე კი თავისთავს!

ვინც ასე არ ფიქრობს, მას ადამიანის სახელი არ ეწოდება!

ადამიანი, რითაც კი შეუძლიან უნდა

სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის ძ—ბის“ ქუთაისში

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეთა და თესლის გამყიდველებს, რომ ცნობილი აბრეშუმის თესლი **ნ. ხრისტოდულიდისა მიღებულია.** ვინც თესლს შეგვიკვეთს **ათ მარტამდი** არა ნაკლებ, [illegible] მელშიაც ორასი კოლოფია, მას 6 მისხლიანი კოლოფი [illegible] 3 აბაზათ. შეკვეთის დროს სავალდებულოა ბეთ წარმოდგენა 100 მანეთის. დანარჩენი ფული კი საქონლის წაღებისას. თესლის წაღების უკანასკნელ ვადათ დანიშნული გვაქვს 20 მარტი. ფარცხანაყანევისთვის, ქვიტირისათვის, მაღლაკისათვის, პატრიკეთისათვის, საყულიისათვის, შუამთისათვის, სვირისათვის და წყალტუბოსთვის აგენტად დანიშნულია **ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე**, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევის იარმუკაში. თ.

ემსახუროს თავის სამშობლოს, ერს; ხოლო როდესაც არაფრის გაკეთება არ შეუძლიან, უნდა თავი მოიკლას, რომ მისგანვე მიძღვნილი სამშობლოსა და ერისადმი უკანვე არ გამოსწოვოს, თვის მშობელს ტვირთად არ დააწვეს.

იქნებ გაგიკვირდეს, შემომწყრე კიდეც, მაგრამ ნუ აჩქარდები და იფიქრე.

აბა იფიქრე!

განა ეგრე არ არის?!

„რას გიმზადებს მომავალი, ან აწმყოსგან რას მოელი?!

„აწმყოში“ შიმშილი და გაჭირვება, დაცინვა და გმობა... ნარ-ეკლებით მოფენილი გზა, რომელზედაც შიშველის ფეხით უნდა იარო.

მეტი ნუ გინდა, ნურც მოითხოვ, შენი ჯილდო, შენივე მოვალეობის აღსრულებაა.

„მომავალი“—შენი ქვეყნის აღორძინებაა. „წუთით შვება მის კალთაზე ხომ გიგრძვნია არ ასჯერა?!

კვლავ ეს ჯილდო განმეორდეს—„ნუ მოელი, ნურცა გჯერა!

„შენ ხარ წუთით მოვლენილი, ვით ფოთოლი შენცა ხმები“.

და გაჰქრები!

მაგრამ ტკბილი და სანეტაროა სიკვდილი სამშობლოს წინაშე ვალის მოხდის შემდეგ!

მკაცრმა ცხოვრებამ შენი ნორჩი გული გაჰკვეთა, მაგრამ...

სამშობლომ დაწყლულებულ იარაში გაკვეთილიც თან ჩაგისახა:

„ვიდრე ცოცხალ ხარ და სულიც გიდგას მას ემსახურო თავგანწირულად“.

— ეს იცოდე—„მისთვის იშვი“! მაშინ იცი—„ვინ იქნები, რა იქნები, რის სადარი?

და ვარსკვლავი შენის ბედის სად ციმციმებს, ან სად არი“?!

შენ იქნები ღირსეული შვილი, ღირსეული ქვეყნისა, იქნები ადამიანი, სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირთა სადარი.

„და ვარსკვლავი შენის ბედის“, შორს, ცის კაბადონზე კვლავ ციმციმებს, იგი არ ჩამქრალა, მხოლოდ ღრუბლები გადაფარებია და აჰა, ეს ღრუბლებიც ნელი ნელ დაიძრა, იბნევა, იფანტება... დაჰბერავს ქარი, სულ განიბნევა და ვარსკვლავიც გამობრწყინდება!

შენი ჯილდოც ეს იქნება!

**ვალ. შალიკაშვილი.**

## საერთო შთაბეჭდილება.

(3 მარტს გამართულ „საუბრის“ „გრძნეულ ქალზე“.

...„და ხან თქმითაც დაშავდების.“

საზოგადოების წინაშე გამოსვლა და არ ცოდნა იმისი, რაზედაც ლაპარაკი გსურს, ეს იმას ნიშნავს: „ყვავს არ ქონდა,—ბუს გაქონდაო“. რა უნდა გადმოეცათ საზოგადოებისთვის იმ პირთ, რომელთაც თითონაც არ იცოდენ რაზე ლაპარაკობდენ... „საუბარი“ მეტათ სუსტი გამოდგა, რასაც სრულიათ არ მოველოდით. პირველათ შანშიაშვილის პოემა „ქალი გრძნეული“ წაიკითხა ბ. ა. ფალავამ, მაგრამ ისე წაიკითხა, რომ მსმენელმა ვერაფერი გაიგო. მას მოყვა სიტყვები, რომელთა შორის საყურადღებოა ბ. დ. უზნაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა; შემდეგ ბ. შ. სანებლიძის და მერმე ბ. მარგველაშვილის. დანარჩენებმა კი, ზოგმა სულ არ სთქვა. არ ვიცი-კი რათ გამოდიოდენ თუ თქმის ძალი არ შეწევდათ, და ვინც სთქვა, ის თვითონ ფიქრობდა ნეტავი ირც მეთქვა და არც მოვსულიყავიო. ილაპარაკეს უფრო გარეშე ლიტერატურაზე, ვიდრე ქალ-გრძნეულ“-ზე. „ქალი გრძნეული“-კი საუბრის გარეშე რჩებოდა. და შინაარსის არ ცოდნის გამო, მოქმედ პირთა სახელებიც კი ავიწყდებოდათ. ერთმა სთქვა.—კარგი იქნებოდა სცენაზე დაედგათო. მე მგონია ხალხი მიტომ მოიწვიეს, რომ ნაწარმოები გაერჩიათ და არა ეხუმრათ, დასასრულ ბ. კიტამ (თავმჯდომარემ) „საუბრის“ შთაბეჭდილება გადმოგვცა, თავისებური ტკბილი სიტყვით. უსურვა ჩვენს სახელოვან პოეტს წარმატება: „თუ შანშიაშვილი არ შეწყვეტს თავის აზრს და განაგრძობს იმ შრომას, რომელსაც ეხლა ეწევა, თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ჩვენ რჩეულ მგოსანთა შორისო“. ხალხი ისე დაიშალა, რომ ვერავითარი დასკვნა ვერ გამოიტანა „საუბრიდან“. „საუბარმა“ გვამცნო მხოლოდ, რომ „ქალი გრძნეული“ შანშიაშვილის პოემაა, ხოლო როგორი ღირსების პოემა არის „ქალი გრძნეული“, რა სურდა პოეტს ამ პოემით ეთქვა—ეს კი გაუგებარი დარჩა. ან რა უნდა გაეგო საზოგადოებას იმ პირთაგან, რომელთაც თითონაც არ იცოდენ რაზე უნდა ელაპარაკნათ.

**დ. მიქელაძე.**

## ომში დაჭრილი და მოკლული ქართველი აფიცრები.

მოკლულია: კაპ. ალექსანდრე სიმ. ანდრონიკაშვილი.

დაჭრილია: პოდპორ. ზედგინიძე; შტაბს-კაპ. ნიკოლ. ნესტორ. კანდელაკი, პოდპოლკ. დიმ. თუმანიშვილი; პოდპორ. ვასილ ნიკოლ. ვაშაძე; პოდპ. კოსტან. სიმ. ჯავრიშვილი.

## ომში დაჭრილი, მოკლული და უგზოუკვლოდ დაკარგულ ქართველი ჯარისკაცები.

(„ვედ. პეტრ. გრად.“ ცნობით).

მოკლულია: ამფეგაშვილი დიმიტრი დუშეთის მაზრა, ჩიხლაძე კონსტანტინე, ბაქოელი.

დაჭრილია: თალაკვაძე ივ. ელიზ., ბაქოელი, ძომოშვილი გრ. პეტ., თფ. მაზრ., ქიტაშვილი რაჟდენ, კაპრეთელი, სიღ. მაზ., მართაშვილი ივანე, კარდან. გურჯ. სიღ. მაზ., მანზაშვილი ნიკოლოზ, კარდანახი, ინანაშვილი ნიკოლ, ახალ ქალაქი, ქოქოევი გიორგი ანდ., ახალქ., ახობაძე იოსებ ნიკ., ბაქოს გუბ., სისაური სვიმონ მათეს ძე, ბაქ. გუბ., გუმბერიძე დანიელ ილარ., ბაქ. გუბ., ხომასურიძე თეოფილე მოსეს ძე, ბაკურაძე ალექს. გიორგის ძე, ბაქო, ბათუმის ოლქიდან: დარჩია გიორგი იასონის ძე, მურვანიძე ვლად. ეფრ., გორანიძე იოს. შევარდ., ბარამიძე როდ. ანდ., გუჯაბიძე კონსტ., კოწიას ძე, ძიუვა ონისიმე მაქს., გორშლაძე ივ. დიმ., ერაგველიძე ბენიამ. როდიონ., ტიკარაძე არსენ სვიმ., ქვეხვაძე რაჟდენ გიგოს ძე, აგამოვი ლეონ ს., კვაჭაძე ვას. ბებურ., კავჟარაძე გიორგი კონსტ. ვარდასანიძე ტიმ. სპირ., ბოლქვაძე ივანე ზაალ., ხაჩიძე ნიკ. ექვთიმეს ძე, პურუხალაიშვილი პორფ. გიორგის ძე, მელარიშვილი სვ. ლუკას ძე.

უკვალოდ დაიკარგა: ფედოშვილი ანტონი, დუშეთ. მაზ., გოგენაშვილი ალექს., დუშ. მაზ., გოგენაშვილი გრიგოლ, დუშ. მაზ., ძოხაძეშვილი გიორგ., დუშ. მაზ., სანკოლაშვილი ლევან. სიღ. მაზ., ამისდაშვილი იასე, სიღნაღ. მაზ., ჰელიძე თევდ. ლარ. ახალქალაქი.

**დაჭრილი ჯარისკაცნი პეტროგრადში:**

1) იასონ ლად. გელაშვილი, ქუთ. გუბ., შორაპნის მაზ., სოფ. წევა, დაჭრილია მარცხენა მაჯაში ტყვიით.

2) არჩილა კეთილაძე, ქუთ. გუბ., სოფ. ჰყეპიდან, დაჭრილია მარცხენა ხელში.

3) სერგო გოგალაძე, თფილ. გუბ., გორის მაზრა, სოფ. ცედანიდან, დაჭრილია მარცხენა ხელში.

მისამართი: Петроградъ, Васил. островъ, д. № 72, городекой Лазаретъ, 173, палата 4-я.

## პასუხად

**(გუბის გამს. შემნახ. ამხანაგობის სალიკვიდაციო კომისიის წევრთ.)**

გაზ. „იმერეთი“-ს მე 14 №-ში მოთავსებულია ღია წერილი, რომლითაც ს. გუბის გამსესხებელ შემნახველ ამხანაგობის სალიკვიდაციო კომისიის წევრნი სამედიატორო სასამართლოში გვიწვევენ, იმ საქმის გამო, რომელიც მათ ამ წერილში აქვთ მოთავსებული.

მიუხედავათ მათი მუქარისა, რომელსაც ისინი ერთ ჩვენთაგანს პირდებიან, არ შეგვიძლია მივიღოთ მათი წინადადება, რადგანაც, მათი ბრალდება ჩვენზე განგებ მოჭორილი და მტკნარი სიცრუეა.

მათი თქმით იმ საქმის გამო, რომელიც ჩვენ და მათი საჭირისუფლო ამხანაგობის მხრით კიდევ სამს კაცს გვქონდა ქუთაისის ოლქის სასამართლოში, ჩვენ ხსენებულ სასამართლოში წერილობითი განცხადენა უნდა შეგვეტანოს, რომლითაც მეაბრეშუმეთა I ამხანაგობის ქონებათა გაყიდვისაგან შემოსულ ფულებიდან უნდა მოგვსჯოდა შვიდასი მანეთი, მაგრამ, რადგანაც ეს ჩვენი განცხადება სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია, ჩვენთვის (რომელთაც 700 მანეთი გვერგებოდა) და მათთვისაც (რომელთაც 2000 მანეთი ერგებოდა) ფულები თანასწორათ გაუნაწილებიათ. სასამართლოს მიერ შეცთომით ფულების განაწილება მათ იმ დროს გაუგიათ, როდესაც გასაჩივრების ვადა უკვე გასული ყოფილა და რადგანაც სხვა არაფერი ეხერხებოდათ ისევ ჩვენთვის მოუმართავთ, რათა ის ზედმეტი ფული, რომელიც ჩვენ აგვილია, მათთვის გადაგვეცა, რაზედაც ჩვენც თანხმა გავმხდარვართ და შევპირებივართ ფულების კუხის ბანკში შეტანას, მაგრამ ეს შეპირება აღარ აგვისრულებია“.

ჩვენ აქ არ შეუდგებით ანგარიშს და ამ საქმის მთელ ისტორიას, ვინაიდანაც ეს ძლიერ შორს წაგვიყვანს, მხოლოდ ჩვენ რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოში არ შეგვიტანია არავითარი წერილობითი განცხადება და არც სიტყვიერი ეს იქედან სჩანს, რომ მთელი ერთი წლიწადიც რომ ატრიალოთ „საქმე“ ხსენებულ სასამართლოში, რომელიც იქ დევს, ქუთაისის გუბერნის მეაბრეშუმეთა I ამხანაგობის ქონებათა გაყიდვაზე და მოვალეთა შორის ფულების განაწილებაზე, მასში ასეთს ვერაფერს იპოვით.

ჩვენ ექვს კაცს, თუ ვის რამდენი გვერგებოდა, ამის გამორკვევას სასამართლომ ცალკე სხდომები მოანდომა და იმ პირთ, რომელთაც ეკითხებოდათ, მათი საჭირისუფლო ამხანაგობის მხრით, ამ საქმის ყოველივე ავი და კარგი, საბუთების მიხედვით არც შეეძლოთ და არც უთქვამთ, რომ მათ 2000 მანეთი ერგებოდათ და ჩვენ კი 700 მანეთი. ამიტომაცაა, რომ ეს პირები იმ ქაღალდში, რომლითაც მათ გაასაჩივრეს თფილისის სამოსამართლო პალატაში, საოლქო სასამართლოს დადგენილება, არ უარყოფენ ჩვენს თანასწორ უფლებიანობას, პირიქით ჩვენი თანასწორუფლებიანობა მოიხსენიეს კიდეც ამ ქაღალდში, როდესაც თქვეს რომ; ექვს თანასწორუფლებიან მოვალეთა შორის ფულების გაყოფისა და განაწილების დროს სასამართლომ ის არსებითი შეცთომა დაუშვა, რომ მისჯილი $^0/_0\%$ იმაზე ნაკლებია რაც აღმასრულებელი ფურცლებით და გირავნობით გვერგებოდაო“ ამ ქაღალდის პირს ამასთანავე ვარდგენთ, რასაც, იმედია რედაქციაც დაამოწმებს.*) რაც შეეხება იმას, რომ მათ საოლქო სასამართლოს დადგენილება, ჩვენ შორის ფულების განაწილებაზე, თავის დროზე იცოდენ და გაასაჩივრებიეს კიდეც ეს დადგენილება მათ, რომელთაც უნდა გაესაჩივრებიათ იგი გუბის ამხანაგობის მხრით, ამის დამამტკიცებელი ხომ ჩვენ მიერ რედაქციაში წარმოდგენილი ზემოთდასახელებული ქაღალდია. სოცარია სწორედ ასეთი ადამიანები, რომლებიც როდესაც ბეჭვდითი სიტყვის საშვალებით ასე აშკარათ სცრუობენ, სამედიატორო სასამართლოში რომ გვიწვევენ. ნუთუ ასეთ ადამიანებს ამის უფლება აქვთ? სამედიატორო სასამართლოსი რა მოგახსენოთ და რაც მათ ეკადრებათ ამ საქციელისათვის, ეს ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, მაგრამ ღირს კი ამისთანა ადამიანებთან რაიმე საქმე და ბრძოლა?

იაკოფ მოსეშვილისა და მიხაკო სვანიძის მსგავსი კაცებისგან ჩვენ არაფერი გაგვიკვირდება, ხოლო ა. ფარცვანიას, რომელიც ხამია ამ საქმეში, ვალდებული იყო გასცნობოდა საქმეს და შემდეგ ისე მოეწერა ხელი ამ სიცრუეზე.

მღ. ხარიტონ ჯიმშელეიშვილი, ი. გორდაძე და ყარამან კაკაბაძე.

*) ეს საბუთი რედაქციამ მიიღო. **რედ.**

## ანგარიში.

(ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების სასარგებლოთ 12 იანვარს საზოგადო საკრებულოს დარბაზში გამართულ საღამოსი).

**შემოსავალი.**

შემოსავალი ბილეთებიდან **652** მან. 10 შ., პროგრამების გაყიდვიდან 102 მ. 11 შ., ჩაის—146 მ. 13 შ., ყვავილების—53 მ. 1 აბაზი, ლატარია—337 მ. 21 კ., ფოსტა 20 მ. 4 აბ., სარგებელი ბუფეტიდან 8 მ. 10 შ., დანარჩენილი ნივთების გაყიდვისაგან 23 მ. 81 კ.

**შემოწირულებანი ფულათ:**

იმერეთის ეპისკოპოსი 5 მ., დონ დამიან საკოვი 5 მ., ქუთაისის გუბერნატ. კამერ. იუნკერ. ლ. ვ. პუტილოვი 10 მ., ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავჯდომარე ნ. პ. ფედოროვი 15 მ., ქუთაისის ქალაქის თავი ი. მ. ჩიქოვანი 10 მ., ნ. ი. ბეზოლლი 10 მ., მ. ი. გარნოვსკისა და ად. ნიკინსკისა 10 მ., ა. ე. დევიძე 10 მ., მ. ნ. ბოკერია, 10 მ., თავ. ი. ზ. მელიქოვი 5 მ., გ. პლეტნიკოვი 6 მ., გრ. ს. ბარათაშვილი 5 მ., გრ. ი. გველესიანი 5 მ., გ. კ. ალშიბაია 5 მ., ექიმი ნადირაძე 5 მ., პ. ი. ლინევიჩი 3 მ., ს. ა. ქვარიანი 3 მ., ა. ბ. გიგინეიშვილი 3 მ., დ. ნ. ლორთქიფანიძე 3 მ., მ. ლ. ლორთქიფანიძე 3 მ. და მ. შ. ფიჩხაძე 3 მ.

სულ 1479 მ. 22 კ.

**შემოწირულებანი ნივთით:**

შემომწირველთა სია:

ტ. ბასილაძე და ა. კილასონია, შვილები ბეგოვისა და სიმონის, ლ. დლონტი, ს. წერეთელი და გ. გორდაძე, ე. ს. რიჟინაშვილი, ნ. დ. ლორია, ი. გვეტაძე, კ. და დ. ყუფარაძე, რ. რიჟინაშვილი, მ. და ლ. ჭავჭანიძე, ს. ეფრემიძე, მ. ჩიკვაშვილი, ძმები პ. და მ. გოკიელოები და გ. ფიჩხაძე.

საღამოს გამგე **ე. ნ. ხეჩინოვისა.**

(შემდეგი იქნება).

უხერხულ მდგომარეობას რომ თავი დავაღწიოთ და ხელის მომწერლები წიგნს მოკლებული არ დარჩენ ამ მიზნით საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ჯაჯუ ჯორჯიკიას 1557 დაბეჭდილ წიგნიდან დაგვრჩა მხოლოდ 400 ცალი, ამის მოთხოვნილებაც არის, მაგრამ ჯერ ჯერობით არ ვყიდით, ვინაიდან ბევრ ადგილებიდან არ გვაქვს ანგარიში მიღებული. ანგარიში არ გამოუგზავნიათ ფოთიდან მ. ესაკიას და კ. თელიას, ჭიათურიდან პ. ლეჟავას, წინამძღვრიანთ კარიდან ნ. ძიძიგურს, ნაღალევიდან ა. ფარულავას, განჯიდან ტ. ტაბუკაშვილს, ალპანიდან ს. ფრუიძეს სიღნაღიდან „კახეთის ხმის“ რედაქციას, ონიდან ილ. გოგიას, ზუგდიდიდან ის. გოგიას, აბაშიდან ა. ესაკიას, ბაქოდან ი. ელიაშვილს, თელავიდან ვ. პაატაშვილს, ყვირილიდან კიკნაველიძეს. ახალსენაკიდან კვანტალიანს და ლორთქიფანიძეს, აცანიდან, ჩიბათიდან, შუხუთიდან და ლესადან ე, ორაგველიძეს, ბელაგორიდან კ. ჯაფარიძეს, კავკავიდან ი. ლორთქიფანიძეს, სურამის, სიმონეთის, ბორჯომის, ხაშურის, ჭრებალოს, მოლითის, სადმელის და სვირის სამკითხველოებს. თუ ზემოხსენებული პირნი ხელისმოწერის ცნობას არ მოგვაწვდიან 20 მარტამდი, მაშინ 400 ცალს წიგნსაც გავყიდით და შემდეგ ანგარიშიც რომ გამოგზავნონ წიგნს ვერ მიიღებენ. ფულის გამოგზავნისა და წერილების ადრესი ასეთია: ქუთაისი ქართული გიმნაზია, კონსტანტინე ჯორჯიკიას.

ერთი გამომცემელთაგანი **გიგლა მებუკე.** 3—2

**გამოვიდა და იყიდება**

**ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში**

**თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.**

ფასი 60 კაპ. წ.

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.

2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.

3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.

4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.

5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.

6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.

7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.

8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება.

9) „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.

10) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ

2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.

3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.

4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.

5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.

6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.

7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.

8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.

9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . 15 კ.

10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.

11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

**სავაჭრო სახლი სამანუფაქტურო და გალანტერეის საქონლის**

**ფ. დ. ერქომაიშვილი და ა—ბის**

ომიანობის გამო ქალაქ სუხუმიდან გადმოვიდა **ქუთაისში.** სავაჭრო გაიხსნა თფილისის ქუჩა და საკათედრო მოედანის კუთხეში, რიჟინაშვილის ახალ შენობაში, ქალაქის აფთიაქის პირდაპირ.

**გვაქვს მიღებული მრავალი ახალი მოდის სასეზონო საქონელი.**

საქონელი იყიდება ხელმისაწვდომ ფასებში.

პატივის ცემით: **ფ. ერქომაიშვილი და ა—ბა.** 12—12

12 წ. ივნისი [illegible]

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. ჩ. ჭოხონელისა—ქუთაისი [illegible] რედაქტორ-გამომცემელი **ი. თ. ცინცაძე.**